



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერგე

ერგე, სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შარაბიძეების თემში (აჭარის არ), მდ. ჭოროხის მარჯვ. ნაპირას, ბათუმი-ქედის საავტ. გზაზე. ზ. დ. 140 მ, მახინჯაურიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 17 კმ. 1,7 ათ. მცხ. (2002). ე-ს იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) და მიუთითებს მის მდებარეობას – „ჭოროხის ჩრდილოსავე კიდესა ზედა“. სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძეგლებით დასტურდება, რომ ადამიანს აქ ჯერ კიდევ გვიანდ. ბრინჯაოს ხანაში უცხოვრია (იხ. ერგეს განძი). ე. განსაკუთრებით დანიშნაურდა შუა საუკუნეებში. აქ გადიოდა ზღვისპირეთიდან ახალშენ-ხეცრუს- ჯოჭოსა და ე-ს გავლით ისტ. ტაო-კლარჯეთთან დამაკავშირებელი ძვ. გზები. სოფელში შემორჩენილია ფეოდალ. ხანის ძეგლები, რ-თაგან მნიშვნელოვანია გვიანდ. შუა საუკ. ნაციხარი (მდინარეების ჯოჭოსწყლისა და ჭოროხის შესართავთან), ქვის თაღოვანი ორი ხიდის ნანგრევები, საეკლ. და სხვა დანიშნულების შენობათა ნაშთები. 2012 ე-სა და მის გარეუბან გემო ჯოჭოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად (ხელმძღვ. შ. მამულაძე) შესწავლილ იქნა შუა საუკუნეების ორი დარბაზული ეკლესიის ნაშთები, რ-ებიც XI-XIII სს-ით თარიღდება და გვიანდელი საძვალე, სადაც მიცვალებულები ქრისტიანული წესით არიან დაკრძალულნი. აღმოჩენილია ერთფერად მოჭიქული და ჩალისფერკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტები, პურის საცხობი კეცები. მასალას პარალელი მოედებნება საქართველოს სხვა ნაქალაქარებსა თუ ნასოფლარებზე აღმოჩენილ მასალასთან.

ლიტ.: აჭარა. წარსული და თანამედროვეობა, ბათ., 2012; რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974; ქ უ რ ი ძ ე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ო., კოლხური ცული, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1950, ტ. 16 B.

ა. რამიშვილი

ი. სიხარულიძე
